

"24 საათის" ფიქიანი ნომერი
***2424**



ახალი საარჩევნო კანონმდებლობა დამტკიცებულია

თამარ ივანიძე

28 დეკემბერს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები საბოლოო, მესამე მოსმენით დაამტკიცა - 98 ხმით, არც ერთის წინააღმდეგ. გუშინვე პარლამენტის მორიგ სხდომას წინ უძღოდა კონსულტაციები სასტუმრო "შე-

რატონ მეტეხი პალასში", რომლებშიც, სხვებთან ერთად, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, "რესპუბლიკელი" თინათინ ხიდაშელიც მონაწილეობდა. კონსულტაციებზე სრული შეთანხმება ამჯერადაც ვერ შედგა, თუმცა ხელისუფლებამ მორიგი კომპრომისის შესახებ გააკეთა განცხადება.

კომპრომისის შედეგი ასეთია: საარჩევნო კოდექსში აისახა დეპუტატების მიხედვითაც 2010 წლის 15 იანვრიდან 1 ივნისამდე თბილისში ახალდარეგისტრირებულ მოქალაქეებზე გაიცემა დროებითი მონაწილეობის უფლება არჩევნებში მონაწილეობის უფლება მათ არ ექნებათ. თუმცა დროებითი მონაწილეობის მქონე პირებს საარჩევნო ხმის უფლება არ ჩამოე-

თმევთ, რადგან დარჩება შესაძლებლობა, ძველი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისცენ ხმა. გარდა ამისა, პარტიებს ექნებათ უფლება და გამოეყოფათ შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსება, რათა არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე მოახდინონ საარჩევნო სიების გადამოწმება.

ბაზრძალაბა A2 გვირგვინი

წვიმის კაცი




ირანში ოპოზიციის ლიდერებს აკატიმრებენ

თამთა კახაძე

ირანული მედიის ინფორმაციით, თეირანში არეულობის დროს 15 ადამიანი დაიღუპა. პოლიციის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ ხალხის დაღუპვაში რაიმე სახის მონაწილეობას. მათი განცხადებით, სამი ადამიანი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა, ერთი კი შეიარაღებულ ოპოზიციონერთა ტყვიამ იმსხვერპლა. დაღუპულთა შორის არის რეფორმისტების ლიდერისა და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის მირ ჰუსეინ მუსაუვის ძმისშვილი. როგორც იუწყებიან, მან გულის არეში ცეცხლსასროლი ჭრილობა თეირანში ენგელაბის მოედანზე გამართული შეკრების დროს მიიღო.

ბაზრძალაბა A3 გვირგვინი



გაიხთიანთი ბილაკოში


„გაერთიანებული ტელეკომის“ საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A5

რეფერენდუმის რჩეული

გიგა ბარასაშვილი

ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს სპორტულ ფურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგებს ვირტუალურად ვეცნობით. საქართველოს სპორტულ ფურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგები, ტრადიციულად, საახალწლო ცერემონიაზე უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ღონისძიების ორგანიზება ვერ მოხერხდა.



ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მანუჩარ ცხადაია სპორტულ ფურნალისტთა ასოციაციის საახალწლო რეფერენდუმში საქართველოს 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენად გამოვლინდა. მანამდე ხობელი ფალავანი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა აღიარეს საუკეთესო სპორტსმენად.

ბაზრძალაბა A7 გვირგვინი

სპორტულ ფურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმმა საუკეთესოდ ცხადაია ცნო

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA

HYUNDAI

ახალი საარჩევნო კანონმდებლობა დამტკიცებულია

პირველი გვარდიანა

ამ პროცესში მონაწილე პარტიები დაფინანსებას თანაბრად გადაინაწილებენ. ანალოგიურ ვადებში სიების გადამონმება არასამთავრობო ორგანიზაციებსაც შეეძლება.

მესამე მოსმენის წინ კოდექსში ასევე შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საუბრო კომისია 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას უზნის შედეგების გაუქმებაზე, ასევე ბიუჯეტების და სპეციალური კონვერტების ხელახლა გადათვლაზე.

ეს არის ხელისუფლების პასუხი ოპოზიციისა და მედიის ნაწილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად ხდება თბილისში ხალხის ჩანერა, რათა ხელისუფლების კანდიდატის მხარდაჭერა იქნას უზრუნველყოფილი. სწორედ ამ განცხადებების საფუძველზე მოითხოვა პარასკევს "ქრისტიან-დემოკრატიკა" ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ საარჩევნო კოდექსში დამატებითი გარანტიები, რათა სიებით მსგავსი მანიპულაციები არ განხორციელდეს. იმ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ საარჩევნო

კოდექსის საბოლოო დამტკიცებამდე ამ თემაზე კონსულტაციები არასამთავრობო სექტორის და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთანაც გამართულიყო. როგორც აღვნიშნეთ, გუშინდელ კონსულტაციებში არასაპარლამენტო ოპოზიციიდან "რესპუბლიკელების" წარმომადგენელი მონაწილეობდა, კონსულტაციებს ასევე ესწრებოდნენ უცხოელი დიპლომატები.

სასტუმრო "შერატონ მეტეხში" გამართული შეხვედრიდან გამოსულმა ოპოზიციონერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ მას ხელისუფლებისთვის რამდენიმე წინადადება ჰქონდა, მათ შორის ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციის შესახებ, რომელიც, მისივე თქმით, თავის დროზე "ნაციონალურმა მოძრაობამ" დანერგა, ახლა კი მისთვის ეს სისტემა მიუღებელია. "ჩვენ ვისაუბრეთ ასევე სიის კორექტირებაზე. ჩვენ ვითხოვთ, რომ მოგვცენ სიებზე სრული ხელმისაწვდომობა, მოხდეს ამ სიების ჩაკეტვა არჩევნებამდე ორი თვით ადრე მაინც, თუმცა მმართველ გუნდს ჩვენს წინადადებებზე და კითხვებზე არც პასუხები გააჩნია და არც არგუმენტები. იმედი მაქვს,

ინინი ამ ყველაფერზე უფრო მეტი იფიქრებენ," - განაცხადა ხიდაშელმა.

ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება იმანაც გაართულა, რომ ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფებს ცვლილებების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები ჰქონდათ. კერძოდ: მხარეები მეტ-ნაკლებად თანხმდებოდნენ, რომ სიები უნდა გადაამოწმონ თავად პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც კვალიფიციურ სუბიექტებად არიან მიჩნეულნი, თუმცა ამ იდეასაც ჰყავდა მონინააღმდეგეები არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან. ასევე არ არსებობდა ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება 1 ივნისამდე მოქალაქეების თბილისში რეგისტრაციის პროცედურის შეწყვეტის საკითხზეც. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ რეგიონებიდან მხარდამჭერების დედაქალაქში რეგისტრაციის პროცესი ისე უნდა შეჩერდეს, რომ არ დაზარალებულა ადამიანები, რომელთაც არჩევნებთან მიმართებაში არანაირი ინტერესი არ გააჩნიათ.

საბოლოო ვაშში, როგორც ხე-მოთაც აღვნიშნეთ, კომპრომისის სახით ხელსუფლებამ სამი ძირითადი

ცვლილების შეთავაზება გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარე ასეთ გადაწყვეტილებას "ექსტრემალურს" უწოდებს: "თავისი შინაარსით, ეს არის ექსტრემალური ნაბიჯი, რომელიც გამართლებულია იმით, რომ ჩვენ ვგვსურს, ჩავატაროთ სუფთა და სამართლიანი არჩევნები. ისეთი არჩევნები, რომელიც არავის ეჭვს არ გამოიწვევს და რომელშიც გარანტირებული იქნება ყველა კომპონენტის, მათ შორის ამომრჩეველთა სიების და რეგისტრაციის აბსოლუტური გამჭვირვალობა," - განაცხადა დავით ბაქრაძემ. ბაქრაძის ინფორმაციით, ყველა არსებული მონაცემით, ტყუილია ყოველგვარი ბრალდება, თითქოს რაიონებიდან ჩამოყვანილი ადამიანების დედაქალაქში რეგისტრაცია ხელისუფლების მხრიდან ხდებოდა.

"ზოგიერთი ოპონენტი ამ ტყუილს იმისთვის იყენებს, რათა გაამართლოს თავისი არცთუ ისე ძლიერი პოზიციები დედაქალაქში, სადაც, ყველა გამოკითხვის მიხედვით, "ნაციონალურ მოძრაობას" ძალიან მყარი პოზიციები აქვს. ამიტომ, შემოთავაზებული წინადადება იქნება ძალიან ძლიერი საკანონმდებლო გარანტია

სწორედ ყველა ასეთი ბრალდების და გაუგებრობის აღმოსაფხვრელად," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ამასთან, ის მონიტორინგის ჯგუფის შექმნის წინადადებითაც გამოვიდა, რომელიც, პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, ჩაერთვებიან დეპუტატები და საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობა. ამ უკანასკნელისგან რეგულარულ რეჟიმში მიიღებენ სტატისტიკურ ინფორმაციას. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ "ეს იქნება კონკრეტული ნაბიჯი ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის უპასუხისმგებლო ბრალდებებზე ამომრჩეველთა სიების და, შესაბამისად, არჩევნების შესაძლო გაყალბების შესახებ".

ასე რომ, შეთანხმებებისა და კონსულტაციების ხანგრძლივი კასკადის შემდეგ, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები უკვე დამტკიცებულია. ახალი კანონმდებლობის "ტესტირება" უახლოეს კენჭისყრაზე - ადგილობრივ არჩევნებზე მოხდება, მაშინ, როცა ამ ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს დედაქალაქის მერი, ქვეყნის ისტორიაში პირველად, პირდაპირი არჩევის წესით აირჩევა.

პრაიმიერი, ბოიკოტი და გაურკვევლობა

ოპოზიციის ერთიან სტრატეგიაზე ვერ თანხმდება

არასაპარლამენტო ოპოზიციურ ძალებს ადგილობრივი არჩევნებისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. პრაიმიერის ინიციატორები და მომხრეები ფარ-ხმალს არ ყრიან, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან მათი გუშინდელი მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა. ირაკლი ალასანიას გუნდი მიმდინარე პროცესებს აკვირდება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

ვერიკო თევზაძე

პრაიმიერის ინიციატორი პარტიის "კონსერვატორების" წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა, "ხალხის პარტიის" ლიდერ კობა დავითაშვილთან და "მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ხელმძღვანელ ზურაბ ნოლაიდელთან ერთად, რამდენიმე მოლაპარაკება გა-

მართა. "საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილთან კონსულტაციები უშედეგო აღმოჩნდა. პრაიმიერის ინიციატორებმა ზურაბიშვილისგან კონკრეტული პასუხი ვერ მოისმინეს.

სამაგიეროდ, "ლეიბორისტების-გან" მტკიცე უარი მიიღეს. "შრომის პარტია" უარყვევად დგას თავის პოზიციაზე - იგი ადგილობრივ არჩევ-

ნებში მონაწილეობას არ აპირებს. "ლეიბორისტებმა" გუშინ დელიკატურობა გამოიჩინეს და ოფისში მისულ სტუმრებს მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა. მათი შეფასებით, პრაიმიერის იდეა მეტად საინტერესოა.

"მწვანეთა პარტის" ლიდერ გია გაჩეჩილაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ გაჩეჩილაძე მხარს უჭერს პრაიმიერის იდეას, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია.

პრაიმიერის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე კონტრასტი ნინო ბურჯანაძის ბრიფინგმა შექმნა.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის"

პრინციპულად მიუღებელია ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ არსებულ გარემოში ჩატარებული არჩევნები არის "საარჩევნო ფარსი", რომელიც მომსახურება ხელისუფლების მიერ არადემოკრატიული გზით მოპოვებული ძალაუფლების დაკანონებას და სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის თქმით, საარჩევნო პროცესში ჩართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ხელისუფლების "ბინძურ თამაშში" აპირებენ მონაწილეობას, უნდა აიღონ პასუხისმგებლობა იმ ყველაფერზე, რაც ამ ქვეყანას მომავალში ელის.

ბურჯანაძის განცხადებით, იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა ვა-

დამდელი არჩევნები ჩატარდეს და ხელისუფლება შეიცვალოს.

ბურჯანაძის ბრიფინგს ქართველი პარლამენტარები გამოეხმაურნენ. საპარლამენტო ოპოზიციის წევრ ლევან ვეფხვაძის შეფასებით, დაზარალებულნი აღმოჩნდებიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც არჩევნებში არ მიიღებენ მონაწილეობას.

სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელ დავით დარჩიაშვილის თქმით, დახვეწის პროცესში მყოფი საარჩევნო კანონმდებლობა დემოკრატიის ნორმებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, შენიშნავს დარჩიაშვილი, ნინო ბურჯანაძის ბოიკოტი ნაკარნახევია არა ცუდი კანონმდებლობით, არამედ მისი გუნდის "სულიერი მდგომარეობით" და კერძო ინტერესებით.



"ბილაინმა" საახალწლო ვიქტორინების გამარჯვებულები გამოავლინა

შპს "მობიტელმა" საახალწლო გათამაშების გამარჯვებულები გამოავლინა. "ბილაინის" საახალწლო მილოცვების კონკურსი ერთი თვე - 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე გრძელდებოდა და გუშინ, კომპანიის გაყიდვებისა და აბონენტთა მომსახურების ცენტრში კონკურსის სამ გამარჯვებულს პრიზები - ტელევიზორი, ტელეფონი და აიპოდი გადაეცათ. გარდა ამისა, 25 დეკემ-

ბერს გამოვლინდა "ბილაინის" საახალწლო წამახალისებელ ვიქტორინაში გამარჯვებულები. პირველ ადგილზე გასულ აბონენტს საჩუქრად "ბილაინის" ოქროს ნომერი და მესამე ადგილებზე გასულ აბონენტებს კი ტელეფონი და აიპოდი გადაეცათ.

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ თეონა ბაღდავაძის თქმით, "მნიშვნელო-

ვანია, რომ "ბილაინის" ძალზე ბევრმა აბონენტმა მიიღო მონაწილეობა საახალწლო ვიქტორინებში. განსაკუთრებით გაჭირდა საახალწლო მილოცვების კონკურსში საუკეთესო მესიჯების გამოვლენა - 2 ათასზე მეტი მესიჯიდან სამი ყველაზე ორიგინალური საახალწლო მილოცვის ამორჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა."

გაზეთი "24 საათი" გამომცემელი შპს "მშპ". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპია.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი) სოფო კლასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეუავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული მხარდაჭერა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ირანში ოპოზიციის ლიდერებს აკატიმრებენ

პირველი გვერდიდან

თავად რეფორმისტების ლიდერი და რამდენიმე პოლიტიკოსი იმ საავადმყოფოში იმყოფებოდნენ, სადაც ალი მუსაევი გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა ვერ ხერხდება, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, რადგან ალი მუსაევის ცხედარი სპეცსამსახურებმა საავადმყოფოდან გაურკვეველ ადგილას გადაასვენეს. როგორც ჩანს, ხელისუფლება შიშობს, რომ ალი მუსაევის დაკრძალვა ხალხის ქუჩაში გამოსვლის ახალი საბაზი გახდება.

თვითმხილველთა გადმოცემით, პოლიციამ მომიტინგეთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. სახელმწიფო სააგენტოები კი იუნყებიან, რომ დემონსტრანტებმა

ქვები დაუშინეს იმ ადამიანებს, რომლებიც აშურას დღესასწაულს ზეიმობდნენ, რის შედეგადაც ორმა ქალმა და ბავშვმა დაზიანება მიიღეს. პოლიციის მონაცემებით, კვირას არეულობის დროს, დაახლოებით, 300 ადამიანი დააკავეს.

ოპოზიცია აცხადებს, რომ საპროტესტო მიტინგები, თეირანის გარდა, სხვა ქალაქებშიც იმართება. დაუდასტურებელი მონაცემებით, ოთხი ადამიანი დაღუპული ირანის ჩრდილო-დასავლეთში, თავრიზში. გამოსვლები გაიმართა ირანის ცენტრალურ ნაწილში - იპაჰანსა და ნაჯფაბადში, ასევე ქვეყნის სამხრეთში - შირაზში.

ქვეყანაში დაძაბულობა გავლენიანი დისიდენტის, დიდი აიათოლა ჰუსეინ ალი მონტაზერის სიკვდი-

ლის შემდეგ გაძლიერდა, რომელიც 87 წლის ასაკში გასულ კვირას გარდაიცვალა.

ოპოზიციის ლიდერ მირ ჰუსეინ მუსაეის მომხრეებმა გადაწყვიტეს, აშურის დღე პრეზიდენტ აჰმადინეჯადის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის კიდევ ერთ საშუალებად გამოეყენებინათ, ვინაიდან აშურის დღესასწაულზე ტრადიციულად მილიონობით ადამიანი გამოდის ხოლმე ქუჩაში.

აშურის დღეს მუსლიმი შიიტები წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილს იმამ ჰუსეინს იხსენებენ, რომელიც 680 წელს კერბელის ბრძოლაში დაიღუპა.

გუშინ პოლიციამ ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი დააკავა. დაკავებულთა შორის არიან რეფორ-

მისტების ლიდერისა და პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ მირ ჰუსეინ მუსაეის უახლოესი თანამებრძოლები. დაპატიმრებულია ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იბრაჰიმ იაზდი, რომელიც ხელმძღვანელობს ამჟამად აკრძალულ პარტიას "მოძრაობა თავისუფლებისათვის".

ირანში მომხდარი უკვე დაგმეს ამერიკამ და საფრანგეთმა. მათ განაცხადეს, რომ საკუთარი თავისუფლებისთვის მებრძოლ ადამიანთა მიმართ რეპრესიების მოწყობა ყოველდღიურად მიუღებელია.

ხელისუფლების მოქმედებები დაგმო პრეზიდენტობის კიდევ ერთმა ყოფილმა კანდიდატმა, ზომიერმა რელიგიურმა მოღვაწემ მესხდი კა-

რუბი. "რა მოუვიდა ჩვენ რელიგიურ სისტემას? თუ ხელისუფლება იძლევა აშურის წმინდა დღეს უდანაშაულო ადამიანების მოკვლის ბრძანებას?"

ირანში მედიის მუშაობა ძალიან შეზღუდულია და ფაქტების გადამოწმება შეუძლებელი ხდება. ზოგიერთი ცნობით, დემონსტრანტები დაესხნენ თავს პოლიციელებს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ზაფხულში დაწყებული საპროტესტო გამოსვლები ეპიზოდური ხასიათის არ არის, მხოლოდ კონკრეტულ გაყალბებულ საპრეზიდენტო არჩევნებს არ ეხება და პერმანენტულად კვლავ გაგრძელდება. როგორც ჩანს, ხალხის ნაწილს მოუბრდა კლერიკალური რეჟიმი და უკან დახევას არ აპირებს.

სორვატიის არჩევნების პირველი ტური ივო იოსიპოვიჩმა მოიგო

თამთა კახაძე

კვირას ხორვატიაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის 12 კანდიდატი იბრძოდა. ვარაუდობდნენ, მათგან ვერც ერთი ვერ შეძლებდა ხმათა 50 პროცენტზე მეტის დაგროვებას, რაც პირველ ტურში გამარჯვებისთვის არის აუცილებელი.

წინასწარჩვენი გამოკითხვების შედეგად კანდიდატებს შორის ლიდერობდა ოპოზიციურ "სოციალისტურ-დემოკრატიული პარტიის" ხელმძღვანელი ივო იოსიპოვიჩი. მოსახლეობს ყველაზე მეტად კორუფცია და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა აწუხებს. ამ პრობლემების გადაჭრა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ამ წლის აპრილიდან ხორვატია უკვე ნატო-ს წევრი ქვეყანაა, თუმცა ევროკავშირის წევრობა გაჭიანურებულია სლოვენისთან სასაზღვრო დავის გამო, რომელიც ოუგოსლავიის დაშლის შემდეგ გაჩნდა.

წინასწარი ვარაუდი გამართლდა და 27 დეკემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა უმრავლესობა ივო იოსიპოვიჩმა მოიპოვა. ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ამომრჩეველთა 32,4 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო. მას მოჰყვება ქალაქ ზაგრების მერი მილან ბანდიჩი 14,8 პროცენტით, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლ კანდიდატად მონაწილეობდა. ეს ორი კანდი-



დატი მიიღებს მონაწილეობას არჩევნების მეორე ტურში, რომელიც 2010 წლის 10 იანვარს გამართება და გამარჯვებული უბრალო უმრავლესობის პრინციპით გამოვლინდება. 12,1 პროცენტით მესამე ადგილზეა ანდრია ხებრანგი, რომელიც მმართველი პარტიის "ხორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობის" ლიდერია. ნაღან ვიდოშევიჩი 11,6 პროცენტით მეოთხე ადგილზეა.

ივო იოსიპოვიჩი პოლიტიკაში შედარებით ახალი სახეა. მის ბიოგრაფიაში კორუფციული ეპიზოდები არ ყოფილა, თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, მას არ გააჩნია პირველ ტურში გამარჯვებისათვის აუცილებელია ქარიზმა.

გამოკითხვის თანახმად, იოსიპოვიჩს ბევრად არ ჩამორჩებოდნენ ზაგრების უპარტიო მერი მილან ბანდიჩი და ხორვატიის სავაჭრო პალატის მეთაური ნაღან ვიდოშევიჩი.

არჩევნებში მეზობელ ბოსნიაში მცხოვრები ხორვატებიც მონაწილეობდნენ.

ხორვატიის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსლებაში შედის საგარეო პოლიტიკას წარმართვა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების ხელმძღვანელობა, თუმცა მას არ გააჩნია ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს უფლება.

ამჟამინდელ პრეზიდენტ სტიპი მესიჩის პრეზიდენტობის მეორე ხუთწლიანი ვადა თებერვალში ენურება, რის შემდეგაც მან თანამდებობა უნდა დატოვოს.

ამერიკა თვითმფრინავზე თავდასხმაში "ალ კაიდას" წვლილს იკვლევს

მარიკა იაშვილი

აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ადასტურებენ, რომ Northwest airlines - ის თვითმფრინავის აფეთქების საქმეში "ალ კაიდას" მონაწილეობის ვერსია ოფიციალურად განიხილება. ეროვნული უშიშროების სამინისტროს პირველმა პირმა ჯანეტ ნაპოლიტანომ ასეთი ვერსიის არსებობის შესახებ მედიასთან საუბრისას განაცხადა.

ნიგერიელის მიერ ტერაქტის განხორციელების მცდელობის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აეროპორტებში კონტროლის გამკაცრების ბრძანება გასცა. ობამას პრესსპიკერ რობერტ გიბსის თქმით, პრეზიდენტს აინტერესებს, როგორ შეძლო ბოროტმოქმედმა თვითმფრინავის ბორტზე ასაფეთქებელი მოწყობილობის ატანა. უსაფრთხოების ზომები უკვე გამკაცრებულია, თუმცა სხვადასხვა

აეროპორტებში ისინი ერთმანეთს განასხვავებული იქნება.

თავად ტერორისტი აბდულმუთალაბი საავადმყოფოდან, სადაც ის აფეთქების მცდელობისას მიღებული დამწვრობების გამო მოხვდა, ფედერალურ ციხეში გადაიყვანეს. აშშ-ს უშიშროების სამსახურის ანონიმური წარმომადგენლის განცხადებით, ბრალდებულმა აღიარა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება მას იემენში "ალ კაიდას" წევრებმა გადასცეს. ნაპოლიტანოს განცხადებით, გამოძიებას ოფიციალურად ჯერ არ დაუდასტურებია, რომ აბდულმუთალაბს თანამოაზრეები ჰყავდა.

თვითმფრინავის აფეთქების მცდელობას უკვე მოჰყვა "რესპუბლიკელების" მხრიდან ობამას ადმინისტრაციის კრიტიკა. სენატში "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერ მიჩ მაკკონელის თქმით, აბდულმუთალაბის საქმეში "ბევრი რამ არის გამოსაძიებელი."

"უბრალოდ, მაოცებს ის, რომ ადამიანმა, რომელიც ამდენ ეჭვს იწვევდა, ბოლოს მაინც შეძლო თვითმფრინავის ბორტზე მოხვედრა, რომელიც ამერიკისკენ მოფრინავდა."

მომხდარის გამო აშშ-ს პრეზიდენტმა მოითხოვა, შეემოწმებინათ, თუ როგორ მუშაობს საეჭვო და სახიფათო ხალხზე დაკვირვების სისტემა. ეს კითხვა ობამას მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ცნობილი გახდა, რომ 23 წლის აბდულმუთალაბის შესახებ სპეცსამსახურებს ინფორმაცია ჰქონდათ.

უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების მიღებამ აეროპორტებში გიგანტური რიგები გამოიწვია. სატრანსპორტო უსაფრთხოების სამმართველოს წარმომადგენლების განცხადებით, მგზავრები პირადი შემოწმებისა და ბარგის კონტროლის დროს შეფერხებისთვის მზად უნდა იყვნენ.

აშშ-ში იმ პიროვნებების სამი სია

არსებობს, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდნენ. პირველ სიაში საეჭვოდ მიჩნეული ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანია, მაგრამ მათგან მომდინარე რისკის შანსი დაბალია. უფრო მეტად სახიფათო აღმიანთა სიაში 18 ათასი გვარია. მესამე სიაში კი ის 4 ათასი პიროვნებაა შეტანილი, რომლებსაც ამერიკის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ.

აბდულმუთალაბი ეჭვმიტანილთა პირველ სიაში 2009 წლის ნოემბერში მოხვდა, ამერიკაში კი ამსტერდამიდან 24 დეკემბერს ჩავიდა.

ახლა ისემა კითხვა, თუ როგორ მოხდა ეჭვმიტანილთა სიაში მყოფი ადამიანი დეტროიტის თვითმფრინავის ბორტზე და როგორ მოახერხა მან ასაფეთქებელი ნივთიერების ატანა. გამოძიებას ამ კითხვებს თავად პრეზიდენტი ობამაც უსვამს. ნიგერიის ხელისუფლება მზად არის, სიმართლის დასადგენად აშშ-სთან აქტიურად ითანამშრომლოს.

გამოძიებასთან ყოველმხრივი თანამშრომლობისთვის მზად არის უმარ ფარუკ აბდულმუთალაბის (იგი მსხვილი ბანკირის შვილია) ოჯახიც, რომელიც შოკირებულია 23 წლის ფარუკის საქციელით. მისი ნათესავები აცხადებენ, რომ ის აქამდე მსგავს მიდრეკილებებს არ ამჟღავნებდა. ნათესავებს ეჭვი ორი სამი თვის წინ გაუჩნდათ, როდესაც უმარ ფარუკი სახლიდან უცხოეთში "სასწავლებლად" წავიდა და ოჯახთან კონტაქტი განწყვიტა. მისმა მამამ თავისი ეჭვების შესახებ საკმის კურსში ჩააყენა ნიგერიისა და ამერიკის სპეცსამსახურები (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"). სხვათა შორის, იგი ბრიტანულ "შავ სიაში" 14 თვის წინ მოხვდა, როდესაც არარსებულ უმაღლეს სასწავლებელში "განათლების მისაღებად" ჩასვლას ცდილობდა. მას ვიზაზე უარი უთხრეს და ბრიტანეთის კარი ან უკვე "სამუდამოდ" გამოუკეტეს.

ნიგნი არქიტექტორებსა და დიზაინერებს

ჟურნალმა "სტილი" (არქიტექტურა, ინტერიერი და დიზაინი) და "არქიტექტორთა კლუბმა" წარმოადგინა ერთობლივი პროექტი - ნიგნი, სახელწოდებით "საქართველოს არქიტექტურა და თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" (ქართულ-ინგლისურ ენებზე).

ნიგნიანობლივია ის, რომ ამგვარი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა. გამოცემა გათვალისწინებულია, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. გამოცემა 400-გვერდიანია და მისი ყდა საინტერესო დიზაინით გამოირჩევა. ნიგნის შესავალი ნაწილი ეძღვნება საქართველოს არქიტექტურის განვითარების ისტორიის ზოგად მიმოხილვას; საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურულ პროცესში არსებულ ცალკეულ ძირეულ მომენტებს და გარდამავალ ეტაპებს, რომლებსაც ეპოქალური ან კერძო, ადგილობრივი მნიშვნელობა გააჩნია.

ნიგნის მეორე ძირითად ნაწილში ვრცლად არის წარმოდგენილი საქარ-

თველოს თანამედროვე არქიტექტურის ფრაგმენტები - საინტერესო პროექტები, რეალიზებული შენობები, ახალი ინტერიერი სივრცეები, რაც, ამ ეტაპზე, ნიგნის მონაწილე სხვადასხვა თაობის, ორმოცდაათი ქართველი პროფესიონალის - არქიტექტორის თუ დიზაინერის შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია.

როგორც ნიგნის გამომცემელი, ჟურნალ "სტილის" და "არქიტექტორთა კლუბის" დამფუძნებელი დიმიტრი მოსულიშვილი აცხადებს, "საქართველოს არქიტექტურა და თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" პროექტის პირველი ეტაპია. სამომავლოდ დაგეგმილია, ნიგნი კვლავ განვირცოვოთ და მისი მეორე ნაწილიც გამოიცეს, მით უფრო, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან უკვე მზარდია.

"ნიგნის გამოცემა ჩვენი იდეა იყო, რომელიც პროფესიონალებმაც მოგვინონეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის გამოცემა ამ დრომდე არ არსებობდა. გვინდოდა წამოგვეწია



და საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა ის ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ და იმ გარემოს ქმნიან, რომელიც თითოეულ ჩვენგანს გვინებს ცხოვრება. მათ ამ ნიგნით საშუალება მიეცათ, ფართო საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, თუ რას

ქმნიან ამდენი ხნის მანძილზე და რას აშენებენ.

ნიგნი შესულია ორმოცდაათი ქართველი არქიტექტორის და დიზაინერის ნამუშევარი. 400-გვერდიან გამოცემაში, გარდა კონკრეტული პროექტებისა, არის შესავალი, ზოგადად

ბიომეტრიული პასპორტები, უფასო ქორწინების მოწმობები და სრულად აღრისხული საქართველოს მოსახლეობა

თამარ კახიძე

მომავალი წლის მარტიდან საქართველოში ბიომეტრიული პასპორტების გაცემა დაიწყება. პასპორტების ნაწილი საფრანგეთში უკვე დაიბეჭდა. ამ ფაქტს უეპოქალაქო რეესტრში ოთხწლიანი რეფორმის წარმატებით დასრულების ერთ-ერთ შედეგად მიიჩნევენ. მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე "24 საათს" თავად სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძეს ესაუბრა.

- რას ნიშნავს ბიომეტრიული პასპორტი და რატომ გახდა მისი შემოღება აუცილებელი?

- ბიომეტრიული პასპორტი არის ჩვეულებრივი პასპორტი, რომელსაც ელექტრო მატარებელი აქვს დამატებული, სადაც ჩანერილია იგივე ინფორმაცია, რაც პასპორტში - სახელი, გვარი, ფოტოსურათი. მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტს აქვს დამატებული თითის ანაბეჭდი. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რამაც არის ჩანერილი ელექტრონული ინფორმაცია - ეს არის ერთჯერადი მოხმარების ინფორმაციის მატარებელი. ეს არის ჩიპი, იქ რამის ჩანერა ან გადმოწერა და ასე შემდეგ, შეუძლებელია. იმიტომ, რომ მოქალაქის შესახებ ინფორმაცია არასანქცირებული გამოყენებისგან იყოს დაცული. ბიომეტრიულ პასპორტში ჩანერილი ინფორმაციიდან მესაზღვრეები მხოლოდ სახელს და გვარს კითხულობენ და სურათს ნახულობენ. უცხო ქვეყანას თითის ანაბეჭდის ნაკითხვის უფლება შესაბამისი ნებართვის შემდეგ აქვს. ანუ თითის ანაბეჭდის ნასაკითხად სახელმწიფოები სპეციალურ გასაღების სისტემას ქმნიან და ამ სისტემებს ცვლიან. რა უპირატესობას აძლევს მოქალაქეს ბიომეტრიული პასპორტი? ეს საზღვრის სწრაფად გადალახვის საშუალებაა. მგზავრს საზღვრის გადალახვის დროს რიგებში დგომა ან მესაზღვრის შეკითხვებზე პასუხის გაცემა აღარ უნევს.

ევროკავშირის ქვეყნებმა საზღვრებზე ავტომატური გადალახვის სისტემის დანერგვა უკვე დაიწყეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიომეტრიული პასპორტით ადამიანი ავტომატურად, მესაზღვრესთან ურთიერთობის გა-

რეშე, კვეთს საზღვარს. ეს სისტემა ტესტირების რეჟიმში უკვე მუშაობს პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთში და ა. შ. პირველ ეტაპზე ბიომეტრიულ პასპორტს ევროკავშირის წევრი ქვეყნები გამოიყენებენ, შემდეგ კი ეს სისტემა ყველა ქვეყანაზე გავრცელდება. ჩვენ ამ სისტემას იმიტომ ვერგავთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ევროკავშირის ქვეყნებთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე გადადის, მოგესხენებათ ეს ხელშეკრულება უკვე პარაფირებულია და, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის ძალაში შევა.

ბიომეტრიული პასპორტი სამოქალაქო რეესტრში დანერგული ოთხწლიანი რეფორმის გარკვეული ეტაპის დასრულებაა. ჩვენ ევროპას ახალ სტანდარტს ვთავაზობთ და ეს არის სისტემის შიგნით დაცულობა, ანუ იმის უზრუნველყოფა, რომ ყალბი დოკუმენტის სისტემიდან გაცემა შეუძლებელია. წარმოდგინეთ, მსოფლიოს მასშტაბით ათასობით საქართველოს ყალბი პასპორტი ბრუნავდა. ამან გამოიწვია ის, რომ ბევრი ქვეყანა ვიზას საქართველოს პატიოსან მოქალაქესაც აღარ აძლევდა. 2008 წელს 6 ათასი ძველი გაყალბებული პასპორტი გამოვავლინეთ. თუმცა, დღეს ამნისტია მოქმედებს. მოქალაქეს, რომელსაც ყალბი პასპორტი აქვს, შეუძლია, ივრისამდე მოგვმართოს და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამნისტიის ვადის გასვლის შემდეგ, ყველა დაისჯება.

- რამდენადაც ვიცით, ბიომეტრიული პასპორტი საკმაოდ ძვირადღირებული ფუფუნებაა.

- ბიომეტრიული პასპორტების საწყისი პროექტი დადასტურდა 2 მილიონი ევრო, საიდანაც მილიონ 200 ათასი ევროკავშირმა გამოყო. მომავალში კი ეს პასპორტი თავის თავს თვითონ შეინახავს. ბიომეტრიული პასპორტი 48-გვერდიანი იქნება და 10 წლის ვადით გაიცემა, მისი ღირებულება კი 100 ლარია. ეს ევროპის მასშტაბით ყველაზე იაფი ტარიფია. თუმცა, გარკვეული სეგმენტისთვის არსებობს შეღავათი - ზოგისთვის 50-პროცენტით სერვისის მოქმედებს, სოციალურად დაუცველებისთვის კი უფასოა.

სხვათა შორის, ჩვენი პასპორტები საფრანგეთში ზუსტად იმ ქარხანაში იბეჭდება, სადაც იბეჭდება ევრო და

50-მდე ქვეყნის პასპორტი.

აღება ამ ეტაპზე სავალდებულო არ არის. ვისაც დღეს მოქმედი პასპორტი აქვს, ვადის გასვლამდე შეუძლია არ გამოცვალოს. სხვათა შორის, ჩვენ დაქარებულ მომსახურების ტარიფები არ გავზარდეთ. ერთ დღეში პასპორტის აღება 205 ლარი ღირს, ასევე იქნება ბიომეტრიული პასპორტის აღების შემთხვევებშიც.

- დღემდე უცხოეთში წასული ქართველებისთვის პრობლემა ახალი პასპორტის აღება ან ვადის გაგრძელება, ამ მხრივ რამე სიახლე თუ იგეგმება?

- საქართველოს მოქალაქეს ევროპის ბევრ ქვეყანაში პასპორტი შეუძლია მაქსიმუმ 10 დღეში აიღოს, როცა ამას ადრე, დაახლოებით, ათი თვე სჭირდებოდა. გარდა ამისა, ბევრი სერვისი გვაქვს ონლაინ რეჟიმში. მაგალითად, იმისათვის, რომ საქართველოდან წასულ ადამიანს ორმაგი მოქალაქეობა მიეღოს, უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, განცხადება დაენერა და შედეგს დალოდებოდა. დღეს შეუძლიათ შევიდნენ ჩვენს ვებგვერდზე და ონლაინ რეჟიმში გააკეთონ განაცხადი, რის შემდეგაც დაეუკავშირდებიან, შევისწავლით მონაცემს და, საკითხის დადებითად განდევნის შემთხვევაში, მოქალაქეობას მივანიჭებთ. ყოველწლიური სტატისტიკით, ორმაგი მოქალაქეობის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს.

- ბოლო წლებში სახელმწიფომ მოსახლეობის აღრისხვის პრობლემის დაჩვეულებული პირადობის მონაბეჭდის გაცემით გადაწყვიტა, დღეს რა მდგომარეობაა? შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობა სრულად არის დარეგისტრირებული ქვეყნის ერთიან სიაში?

- შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 98 პროცენტს უკვე პირადობის მონაბეჭდი აქვს. ჩვენ პირადობის მონაბეჭდი მივეცით ისეთ ადამიანებსაც, რომლებსაც საბჭოთა პერიოდშიც კი არ ჰქონდათ არა თუ პირადობის, დაბადების მონაბეჭდი და მათ შესახებ სახელმწიფოს ინფორმაცია საერთოდ არ ჰქონდა. შესაბამისად ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სისტემა მოქმედებს.

მიმიდინარე წელს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. ყველა სკოლის მოსწავლე დაე-

რეგისტრირეთ. ამ პროექტით განათლების სამინისტრომ თავისი რესურსის მინიმუმ 30 პროცენტი დაზოგა. ძალიან ბევრი ხარვეზი გამოვლინდა, მაგალითად ის, რომ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიც სარგებლობდნენ უფასო განათლების სისტემით, ასევე აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე ბავშვი დარეგისტრირებული იყო რამდენიმე სკოლაში და ამისათვის ისინი ხელოვნურად გაზრდილ დაფინანსებას იღებდნენ. რეგისტრაციის სისტემის ამოქმედების შემდეგ, თუ ბავშვი გადავა სხვა სკოლაში, იგი ავტომატურად ვარდება პირველი სკოლიდან და მეორე სკოლის ბალანსზე ჯდება. ამით საბიუჯეტო თანხის ეფექტური ხარჯვის საშუალება მატულობს.

- არჩევნების მოახლოებისას, კიდევ უფრო აქტუალური ხდება გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაცია. რამდენად მოგვარდა ეს პრობლემა ქვეყანაში?

- საქართველოში გარდაცვალების რეგისტრაციის სრულიად ახალი სისტემა არსებობს. 2009 წლამდე გარდაცვალების ფაქტი რომ დარეგისტრირებულიყო, ჩვენთვის თავად მოქალაქეს უნდა მოემართა. წელს ეს სისტემა აბსოლუტურად შეცვლილია და იგი უკვე ბოლომდე დამოკიდებულია ჯანდაცვის სისტემაზე, თვითმმართველობასა და სამოქალაქო რეესტრზე. შედეგი უკვე სახეზეა - 11 თვის მანძილზე 20 პროცენტით გაიზარდა გარდაცვალების რეგისტრაციის მაჩვენებელი. 2008 წელს თუ რეგისტრირებული იყო 34428 გარდაცვალების ფაქტი, 2009 წელს აღრიცხულია 41478 გარდაცვალება. აღსანიშნავია, რომ კანონში შევიდა ცვლილება გარდაცვალების შეწყობინების ვალდებულებაზე, რაც 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

მეორე სერიოზული პრობლემაა ადრე გარდაცვლილთა რეგისტრაცია, რომელთა აღრიცხვა თავის დროზე არ მოხდარა. ადრე თუ გარდაცვალების ფაქტის დადგენა სასამართლოში ხდებოდა, ახლა ეს სისტემა გადმოტანილია სამოქალაქო რეესტრში, სადაც, ფაქტობრივად, სასამართლოს პრინციპით, ანუ მტკიცებულებების შეფასებით, ხდება გარდაცვალების ფაქტის დადგენა. ახალი სისტემა ცოტა ხანში მკვდარი სულების თემასაც საბოლოოდ მოხსნის.

- დემოგრაფიული სამსახურები

ქართული ხუროთმოძღვრების მიმოხილვა დღევანდელ დღემდე. ნიგნის ავტორი გახლავთ ნინო ლალიძე. გამოცემაში წარმოდგენილია თანამედროვე არქიტექტორების ბოლო წლების ნამუშევრები, როგორც არქიტექტურა, ისე ინტერიერი. გარდა აშენებული პროექტებისა, წარმოდგენილია ისეთი პროექტებიც, რომლებიც ჯერ არ აშენებულა. ჩვენი გამოცემა კომერციული პროექტია და აქ წარმოდგენილი არქიტექტორები დამსახურების მიხედვით არ არჩეულა. ნიგნი შესულია როგორც ყველასათვის ცნობილი არქიტექტორების, ისე ახალი თაობის წარმომადგენლების ნამუშევრები. ნიგნის "საქართველოს არქიტექტურა და თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" ღირებულება 80 ლარი იქნება. ვინაიდან სხვადასხვა მიზეზების გამო, ბევრი არქიტექტორი ვერ მოხვდა, მომავალი წლისთვის დაგეგმილი გვაქვს მეორე გამოცემის გამოშვება. - აღნიშნა ჟურნალ "სტილის" და "არქიტექტორთა კლუბის" დამფუძნებელმა დიმიტრი მოსულიშვილმა.

ამტკიცებდნენ, რომ ბოლო წლებში საქართველოში საშინელი დემოგრაფიული კრიზისია, როგორი მონაცემები არსებობს სამოქალაქო რეესტრში?

- საქართველოს მოსახლეობას, ზრდის მხრივ, დადებითი მაჩვენებელი აქვს. მოქალაქის საზღვარგარეთ გასვლა და შემოსვლა, მოქალაქეობის დატოვება და მიღება, შობადობა და გარდაცვალება, ეს სამი კომპონენტი ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელს არეგულირებს. ბოლო წლებში ძალიან სერიოზული ზრდაა შობადობის კუთხით. შობადობა გარდაცვალების მაჩვენებელს, დაახლოებით, 40 პროცენტით აღემატება. საქართველოში შობადობა იზრდება დასავლეთ საქართველოსა და თბილისის ხარჯზე. მკვეთრად გაიზარდა ქორწინების მაჩვენებელიც.

მომავალი წლის 1 იანვრიდან ქორწინების რეგისტრაცია უფასო გახდება. ქორწინების რეგისტრაცია დღეს 9 ლარი ღირს, რისი გადახდის საშუალებაც ბევრს არ აქვს. ვინაიდან ქორწინება ვადის იგივე სერვისში, როგორც არის დაბადება, გარდაცვალება, პირადობა, ამიტომ გადაწყვიტეთ, ესეც უფასო გავხადოთ. ამასთან აღარ იარსებებს ერთთვიანი პერიოდი იმისათვის, რომ ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს. მოქალაქეებს შეუძლიათ ქორწინების მონაბეჭდი განაცხადების დანერგვის დღესვე მიიღონ. ამით მოვსპეტი კორუფციის კიდევ ერთი კერა.

- ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკიცებულებები შეკითხვა, რაც ბოლო პერიოდში გაისმის, რამდენია საქართველოს მოქალაქე?

- მართალია, ეს უფრო სტატისტიკის დეპარტამენტის პერეოგრაფიკაა, მაგრამ ჩვენი მონაცემით, საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 4 მილიონ 300 ათასი მოქალაქე, თუმცა საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა მსოფლიოში გაცილებით ბევრია. დემოგრაფიული ამბობენ, რომ 3 მილიონი ვართ, მაგრამ ეს მცდარი ციფრებია. საყოველთაო აღრიცხვა უახლოეს მომავალში ჩატარდება. ხუთ წელიწადში კი ყველაფერი იქნება ავტომატიზირებული და ყველას ეცოდინება რამდენი მოქალაქე ცხოვრობს საქართველოში, სხვათა შორის, რუსთაველზე დაიდგება მონიტორი, სადაც ყოველ წუთს აღრიცხება ინფორმაცია.

კინემატოგრაფი 114 წლის წინ

მსოფლიომ კინოს დაბადების დღე აღნიშნა


ზუსტად 114 წლის წინ პარიზში, კაპუცინების ბუღვარის N14-ში დიდი სასწაული ხდებოდა - ათობით ადამიანი კედელზე გაკრულ თეთრ ზენარს შესცქეროდა და ვერაფრით ხვდებოდნენ, რა ხდებოდა მათ თვალწინ. იმ დღეს 1895 წლის 28 დეკემბერი იყო, ძმებმა ლუმერებმა ფართო საზოგადოებას პირველად წარუდგინეს თავიანთი გამოგონება და რამდენიმე წამიანი ფილმი აჩვენეს. კინოს დაბადების დღედ სწორედ ეს თარიღი მიიჩნევა, რომელიც მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

გავრცელებულია აზრი, თითქოს რამდენიმე ფილმისგან შემდგარი სეანსი ლუმერებმა ფილმით "მატარებლის შემოსვლა ლა სიოტას სადგურზე" გახსნეს და სინემატოგრაფის ერთ-ერთი სიმბოლოდ სწორედ ეს ფილმი აღიარებული. სინამდვილეში კი ძმებმა ჩვენება "მუშების ფაბრიკიდან გამოსვლით" (Sortie de l'usine Lumire W Lyon) დაიწყეს. ეს დოკუმენტური ჩანაწერი ლუმერების მიერ გადაღებული ერთ-ერთი პირველი ფილმია, რომლის დახურული ჩვენება რამდენიმე თვით ად-

რე, 1895 წლის 22 მარტს ფრანგული ფოტონარმოების განვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე შედგა.

"მუშების ფაბრიკიდან გამოსვლა" ოგიუსტ და ლუი ლუმერებმა 1895 წლის 19 მარტს საკუთარი ფაბრიკის ტიშვართან გადაიღეს. არსებობს ამ სიუჟეტის სამი ვერსია, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაშია გადაღებული (ასეთი დასკვნა სპეციალისტებმა ჩრდილების განლაგების მიხედვით გააკეთეს). სამწუხაროდ, ცნობილი არაა, კონკრეტულად რომელი ვერსია აჩვენეს 1895 წლის 28 დეკემბერს, შესაძლოა სამივე, რადგან, მაშინდელი პრესა ახსენებს ეკრანზე ნანახ დეტალებს: ძაღლს, ველოსიპედისტს, ცხენს, რომლებიც სამივე ვერსიაში ჩანს, მაგრამ ერთად არც ერთგან ერთად. ერთი სცენის რამდენიმე დუბლის არსებობა კი მიანიშნებს, რომ ლუმერები საქმეს თავიდანვე კინემატოგრაფიულად უდგებოდნენ.

მეორე, გაცილებით ცნობილი ფილმი "მატარებლის შემოსვლა ლა



სიოტას სადგურზეა". ისევე როგორც ლუმერების მიერ ამ პერიოდში გადაღებულ სხვა ნამუშევრებს, სიუჟეტური ხაზი არც ამ 46-წამიან ფილმს აქვს: ქალაქ ლა სიოტას რიკინიგზის სადგურზე ორთქლმავალი ჩამოდგება, ბაქანზე კი მგზავრები მოძრაობენ. "მატარებლის შემოსვლასთან" დაკავშირებით

არსებობს დაუდასტურებელი ლეგენდაც, თითქოს მისი ჩვენებისას პანიკაში ჩაეარდნო ხალხი დარბაზიდან გარბოდა, რადგან ეგონათ, რომ ორთქლმავალი ეკრანს გაარღვევდა და მათ გადათელავდა. "მატარებლის შემოსვლა" უმნიშვნელოვანესი სინემატოგრაფიული ნამუშევარია. მასზე პირველად

აღიბეჭდა მოძრაობა პერსპექტივაში - მატარებელი შორიდან მოდის, ვაგონები კამერის წინ ჩაივლიან, შემდეგ კი მატარებელი ჩერდება. გარდა ამისა, კამერის წინ მოძრაობს მგზავრები საერთო, საშუალო და ახლო პლანის პორტრეტებს ქმნიან. "მატარებლის შემოსვლა ლა სიოტას სადგურზე" მოგვიანებით რამდენიმე ანალოგიური სიუჟეტის ფილმის პირველწყაროდ იქცა. არსებობს დაახლოებით იმ პერიოდში სხვების მიერ გადაღებული "მატარებლის შემოსვლა ჟუანვილის სადგურზე", "მატარებლის შემოსვლა ვენსანის სადგურზე" და სხვა.

ლუმერების სინემატოგრაფი არც ქართული მაყურებლისთვის იყო უცხო. 1900 წელს ცნობილმა ფოტოგრაფმა დავით დილმელოვმა ლუმერების საპროექციო აპარატურა რამდენიმე ფილმთან ერთად შეიძინა და ჩვენებებს არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც მართავდა, 1904 წელს კი ახლანდელ რუსთაველის გამზირზე პირველი კინოთეატრიც გაიხსნა...

ცაო ცაოს სამარხი

ჩინელმა არქეოლოგებმა ლეგენდარული პოეტის, სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწის - ცაო ცაოს (155-220 წწ.) სამარხი გათხარეს.

მემკვიდრეობის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცაო ცაო იყო ყველაზე დაოსტატებული პოლიტიკოსი III საუკუნის ჩინეთში. სამარხში, რომელიც ცენტრალური ჩინეთის ჰენანის პროვინციაში გახსნეს, სამი ადამიანის ნეშტი აღმოჩნდა. მათ შორის ერთ-ერთი დაახლოებით 60 წლის მამაკაცს ეკუთვნის და ვარაუდობენ, რომ სწორედ ის არის ცნობილი სარდალი.

გაზეთი China Daily წერს, რომ არქეოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს 250-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და კერამიკის ნაკეთობა. რამდენიმე მათგანზე ჩანს წარწერა: "გამოიყენებოდა ვეის მმართველთა მიერ", ანუ სახელმწიფოში, რომელიც ცაო ცაომ დააარსა.

ცაო ცაოს შესახებ შექმნილი რომანიდან ცნობილია, რომ მან 20 წლის ასაკში მიიღო მაშინდელი იმპერიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ლოანის მავრის ხელმძღვანე-

ლის თანამდებობა. ცაო ცაომ სახელი "ყვითელი სახვევების" აჯანყების ჩახშობით გაითქვა. როდესაც აჯანყებამ იფეთქა, მან დაქვემდებარებაში 5 000 მეომარი მიიღო და აჯანყებულების დასამშვიდებლად გაემართა.

ამავე პერიოდში იმპერატორ ლინ-დის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო გავლენიანმა მხედარმთავარმა დუნ ჩუომ, რომელმაც ჯერ ჩამოაგდო, შემდეგ კი მოკლა განსვენებული იმპერატორის ვაჟი და მემკვიდრე. მან სამეფო ტახტზე აიყვანა მისი დედინაცვლის შვილი სე, რომელმაც სიან-დის სახელი მიიღო. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს დუნ ჩუო განაგებდა. ცაო ცაომ ძლიერი მედროვეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო და მის მოკვლასაც კი შეეცადა, მაგრამ მარცხი განიცადა. ის დამნაშავედ გამოაცხადეს და იძულებული გახდა გაქცეულიყო. ამის შემდეგ მან თავადთა კავშირი შექმნა. სათავეში იუან შაო ჩაუყენა და უზურპატორის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა. ომი ცვალებადი



წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ დუნ ჩუოს მარცხით დასრულდა. მისი გაქცევის შემდეგ კი ლაშქარი დაიშალა და ცაო ცაო შეეცადა დიქტატორს მარტო გადაევენებოდა. იმ დროისათვის დასუსტებული იმპერია სამ სამეფოდ დაიყო და ჩინეთში სამხელისუფლებიანობის დრო დადგა. ცაო ცაო ჩინელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა ნაციონალური ისტორიიდან. მის განკარგულებაში იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც მილიონი მეომრისგან შედგებოდა. გუანდაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ის ჩინეთის გაერთიანებას აპირებდა, მაგრამ ინიციატივა სხვებს დაუთმო.

ცაო ცაოს სახელი მასობრივ კულტურაშიც გავრცელებულია. მისი სახელით მოიხსენიებენ სერიული თამაშებისა და ფილმების პერსონაჟებს. ჩინელებისთვის მნიშვნელოვანია აღმოჩენა, რომელიც არქეოლოგებმა გააკეთეს. ისინი ირწმუნებიან, რომ სამარხი სწორედ მათ ეროვნულ გმირს ეკუთვნის.

**„გაერთიანებული ტელეკომის“
საახალწლო აქცია -
ინტერნეტის უფასო ინსტალაცია
ერთი თვის განმავლობაში**

„გაერთიანებული ტელეკომი“ თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20\$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი“ ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.

2009 წლის 27 დეკემბერს, პირველი არხის ეთერში გამართული გათამაშების „100 გამარჯვებული საქართველოს ბანკში“ გამარჯვებული ბილეთების ნომრებია:

CDS1119772
CDS1435387
CDS1429600
CDS1176095
CDS1469746
CDS1502226
CDS1457588
CDS1360760
CDS1351297
CDS1230521

რუსეთის ყველაზე გავლენიანი ინტელექტუალი ვიქტორ პელევინი აღმოჩნდა

20 დეკემბერს, რუსეთში ჩატარდა გამოკითხვა, რათა გამოეყვლინათ თუ ვინ არის საზოგადოების აზრით დღეს ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი ინტელექტუალი. გამოკითხვაში, რომელიც პორტალ "Open Space"-ის ორგანიზებით ჩატარდა, 2100 ხმით მწერალმა ვიქტორ პელევინმა გაიმარჯვა.



ინტელექტუალთა პირველ ათეულში მომდევნო ადგილები ჟურნალისტებმა და ნიელ შპოვალოვმა და ლეონიდ პარფონოვმა დაიკავეს. მეოთხე ადგილი ნავთობის მწარმოებელი კომპანია - "ЮКОС"-ის ყოფილი ხელმძღვანელმა, მიხეილ ხოდორკოვსკიმ დასაკუთრა, მეხუთე კი პუბლიცისტი კონსტანტინე კრილოვი გავიდა, მეექვსე ადგილი რუსეთის პატრიარქს - კირილეს ერგო. მეშვიდე და მერვე, შესაბამისად, მეცნიერ - სერგეი კაპიცასა და ტელეწამყვან ალექსანდრე გორდონს. მეცხრე და მეათე ადგილები დაიკავეს მწერლებმა, - ბორის სტრუვაკსკიმ და ედუარდ ლიმონოვმა.

გამოკითხვაში 40 ათასზე მეტი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. მათ შეეძლოთ ხმა ასიდან ხუთი კანდიდატისათვის მიეცათ. ასევე შეეძლოთ, დაემატებინათ სხვა, მათთვის სასურველი კანდიდატი, რომელიც ჩამონათვალში არ იყო. ამ შეთავაზების საფუძველზე მონაწილეებმა ხმის მიცემის პროცესში ჩამონათვალს კიდევ 250 გვარი მიამატეს. "24 საათი".

იყო თუ არა ლეონარდო ვეგეტარიანელი?

იტალიელი მეცნიერების ჯგუფი გეგმავს ალორძინების ეპოქის უდიდესი ოსტატის - ლეონარდო და ვინჩის ნუსტს ექსპერტიზა ჩაუტაროს. მკვლევარებს სურთ დანახონ ანალიზით დარწმუნდნენ, რომ ძვლები, რომლებიც ფრანკო კალაის, ამბუზანის ციხე-დარბაზის კაპელაშია დაცული, ნამდვილად უდიდეს იტალიელ მხატვარს, მოქანდაკეს, არქიტექტორსა და ინჟინერს ეკუთვნის. აკლდამის პატრონმა ექსპერტიზის ჩატარებაზე თანხმობა უკვე განაცხადა.

სპეციალისტებს სურთ, რომ გენოსის ნუსტის ანალიზი და ვინჩის შვილებიდან ერთ-ერთისა შეადარონ. ეს უკანასკნელი XVI საუკუნის ბოლოს ბოლონიაში დაკრძალეს. ამის შესახებ ინფორმაციას DW-World-ი ავრცელებს. ამ ანალიზით ასევე დააგეგნენ იყო თუ არა გენოსი ვეგეტარიანელი.

იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერები ძვლების მსგავსად თავის ქალასაც აღმოაჩენენ, ბოლონის უნივერსიტეტის ანთროპოლოგი ჯორჯო გრუპიონი და ვინჩის სახის რეკონსტრუქციასაც გეგმავს. "24 საათი".

ჭილდო ქართულ ბალებში შეტანილი წვლილისთვის

დღეს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ქართული საბალეტო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დააჯილდოვა ვასილ ახმეტელი და ლალი კანდელიანი. ღონისძიებას დაესწრება ოპერის საბალეტო დასი და დასის ხელმძღვანელი, ნინო ანანიშვილი.

ძველი და ახალი თბილისის ამსახველი ფოტოგამოფენა გრძელდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში გრძელდება გამოფენა "ძველი და თანამედროვე თბილისი", სადაც წარმოდგენილია ეროვნულ არქივში დაცული, 1890-1910 წლებში დამიტრი ერმაკოვისა და 2009 წელს გიორგი მურუმბილის მიერ გადაღებული ფოტოები. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია, ასევე, 1949 წლით დათარიღებული კინოსიუჟეტი თბილისის შესახებ. მასალა შერჩეულია ეროვნული არქივის ფოტო და კინო არქივებიდან. დამთავლიერებელს გამოფენაზე საშუალება აქვს იხილოს, თუ როგორ შეიცვალა გამოჩენილი ფოტოგრაფის თვალთ დანახული თბილისი ერთი საუკუნის შემდეგ. 2009 წელს გადაღებული თანამედროვე თბილისი იმეორებს 1909 წელს ფირზე აღბეჭდილ დედაქალაქს. "24 საათი".

ART - ექსპერიმენტები თუმანიშვილის თეატრში

დღეს, 19.00საათზე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრი, არტ-ექსპერიმენტების პროექტის ფარგლებში, წარმოგიდგენს მუსიკალურ ტროის ნათია ცქვიტაიას (ფორტეპიანო), სამველ პერიხანიანის (ვიოლინო) და ევგენი ინიგოვის (ჩელო) მონაწილეობით. ბოლოს მათი კონცერტი გაიმართა ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში. შესრულებული იქნება ასტორ პიაცოლას და ჯორჯ გერშვინის მუსიკალური ნაწარმოებები. "24 საათი".

წვიმის კასი

გარდაიცვალა დასტინ ჰოფმანის კინოგმირის პროტოტიპი



დაახლოებით ოცი წლის წინ, როდესაც ვიდეომაგნიტოფონის ქონა საბჭოთა კინომოყვარულებისთვის დაახლოებით ისეთივე ფუფუნება გახდა, როგორც დღეს ბლუ-რეი პლეიერი, არსებობდა რამდენიმე ფილმი, რომლის უნახავობაც ერთგვარ სირცხვილად ითვლებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ბარი ლევისონის "წვიმის კაცი" - ფილმი, რომელსაც გაკვეთილებს შორის შესვენებებისას, ტრანსპორტით მგზავრობისას და დაბადების დღეებზე სადღეგრძელოებს შორის ყველაზე აქტიურად განიხილავდნენ. რამდენიმე დღის წინ კი გულის უემარისობით გარდაიცვალა ადამიანი, რომლის სახელი მაყურებლისთვის პრაქტიკულად არაფერის მითქმელია, თუმცა ის რომ არა, დასტინ ჰოფმანი ვერასდროს მიიღებდა თავის მეორე "ოსკარს".

ამ ადამიანს კიმ პიკი ერქვა, ის მხოლოდ 58 წლის იყო, წიგნის ერთი გვერდის წაკითხვა 10 წამში შეეძლო, მაგრამ დამოუკიდებლად პერანგზე დილსაც ვერ შეიკრავდა. კიმ პიკი დასტინ ჰოფმანის რეჟიმდ ბაბუტის პროტოტიპი გახლდათ, თუმცა ეს მხოლოდ ის დეტალია, რომლითაც იგი ცნობილი გახდა - კიმ პიკი მთელი ცხოვრების განმავლობაში მეცნიერებისთვის ამოუხსნელ ფენომენს წარმოადგენდა. ახალშობილ კიმს პათოლოგიური ზომის თავის ქალა ჰქონდა, ექიმებმა მას თავის ტვინის თიქარის დიაგნოზი დაუსვეს, რასაც ტვინის ნაწილობრივი დაზიანებაც ემატებოდა. ექიმების დასკვნა მისი მშობლებისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. მათი თქმით, ის ვერასდროს შეძლებდა სიარულს, ვერ ისწავლიდა კითხვას და მეტყველებას. თუმცა ექიმების წინასწარმეტყველება მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. როგორც კი მისი მამა იხსენებდა, შეზღუდული გონების მიუხედავად, იგი ბავშვობიდან ავლენდა ინფორმაციის მიღებისა და დამახსოვრების საოცარ უნარს,

თუმცა მას ამ ინფორმაციის გავლენა და განხილვა არ შეეძლო. წლინახევრის ასაკში ზეპირად იმასხოვრებდა ყველა ზღაპარს და საბავშვო მოთხრობას, რომლებსაც დედა ძილის წინ უკითხავდა, შემდეგ კი მათ მოყოლასაც ახერხებდა. ამის პარალელურად კიმს არ შეეძლო კოვზის დაჭერა, წყლის ჭიქიდან დაღევა, კიბეზე ასვლა და ჩაცმა.

თავდაპირველად მისი მკურნალი ექიმები მიიჩნევდნენ, რომ ბავშვი აუტიზმით იყო დაავადებული, რასაც კიმის მონაცემებიც ადასტურებდა. იგი ფსიქოლოგებისთვის მნიშვნელოვან კვლევითი ობიექტადაც იქცა, ხოლო ფსიქოლოგმა დაროლდ ტრეფეტმა მის მაგალითზე წიგნი "საოცარი ადამიანები: როგორ გავუვით სავანტიზმით დაავადებულებს" დაწერა. სწორედ ტრეფეტი იყო პირველი ექიმი, რომელმაც კიმ პიკს სავანტის სინდრომის დიაგნოზი დაუსვა. ამ სინდრომით დაავადებულები ძირითადად გონებრივი ჩამორჩენილობით ხასიათდებიან, თუმცა კონკრეტული მიმართულებით საოცრად არიან განვითარებული - კიმ პიკს ფენომენალური მახსოვრობა ჰქონდა, ტრეფეტი კი მას მეგასავანტს უწოდებდა.

კიმ პიკმა ზეპირად იცოდა დაახლოებით 12 ათასი წიგნი, ფლობდა ზუსტ ინფორმაციას გეოგრაფიაში, ისტორიაში, მათემატიკაში, ლიტერატურასა და სხვა მეცნიერებებში, ერთი წამიც არ სჭირდებოდა იმის გასახსენებლად თუ რომელ წელს, თვეში, რიცხვსა და კვირი დღეს დაიბადა ესა თუ ის ცნობილი ადამიანი. წაკითხულ ინფორმაციას ის არა მხოლოდ ზეპირად იმასხოვრებდა, არამედ ზუსტად შეეძლო დაესახელებინა ასოებისა და პუნქტუაციის ნიშნების რაოდენობა. გარდა ამისა, მას შეეძლო გადაშლილი წიგნის ცალკეული გვერდები ერთდროულად თითო თვალთ ეკითხა და ასეთივე წარმატებით დაემახსოვრებინა. სწორედ ამიტომ მას ხან "კომპიუტერს" ეძახდნენ, ხანაც "ცოცხალ გუგლს". 1984 წელს კიმ პიკი მწერალმა ბარი მეროუმ გაიცნო, რომელიც იმდენად აღფრთოვანდა მისით, რომ გადაწყვიტა, გენოსის ცხოვრება მთელი მსოფლიოსთვის გაეცნო. მალე რომანის მიხედვით რობერტ ბასმა სცენარი დაწერა, ბარი ლევისონმა კი

ცნობილი ფილმი გადაიღო. როდესაც დასტინ ჰოფმანი სცენარს გაეცნო, მაშინვე მოინდომა კიმ პიკის გაცნობა, რომელთანაც რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის მთელ დღეებს ატარებდა. სწორედ ჰოფმანმა სთხოვა კიმის მამას, რომ ეს ბუნების საოცრება მთელ მსოფლიოს გაეცნო - ასეც მოხდა, კიმ პიკი ახლა უკვე მხოლოდ მეცნიერების კვლევის ობიექტი კი არა, უბრალოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახდა.

ბარი ლევისონის ფილმი ეკრანებზე 1988 წელს გამოვიდა, ამერიკის კინოაკადემიამ კი იგი ოთხი "ოსკარით" გააჯილდოვა: საუკეთესო სცენარის, რეჟისურის, მამაკაცის მთავარი როლისა და წლის საუკეთესო ფილმის ნომინაციაში. საინტერესოა ის, რომ დასტინ ჰოფმანმა თავისი ოქროს ქანდაკება კიმ პიკს აჩუქა, რომელიც ამ ჯილდოს სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა.

ფილმმა არა მხოლოდ დასტინ ჰოფმანის, არამედ კიმ პიკის ცხოვრებაც შეცვალა. მან მამასთან ერთად მთელ მსოფლიოში დაიწყო მოგზაურობა, ხვდებოდა ადამიანთა ჯგუფებს, ესაუბრებოდა საკუთარ თავზე, პასუხებს სცემდა მათ მიერ დასმულ უამრავ კითხვას, რომელთა უმეტესობა ისტორიულ ფაქტებს, მათემატიკურ ამოცანებსა და მსგავს საკითხებს მოიცავდა. როდესაც კიმს რომელიმე ქალაქის შესახებ ეკითხებოდნენ, მას შეუძლოდ შეეძლო ამ ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობის, სატელეფონო კოდის, საფოსტო ინდექსის, მოსახლეობის რაოდენობისა და მსგავსი ფაქტების დასახელება. მასზე წერდნენ სტატიებს, წიგნებს, იღებდნენ მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს, მეგობრობდა ცნობილ ადამიანებთან, თუმცა ყველაზე მეტად მას მშობლიური ქალაქის, სოლტ ლეიკ სიტის ბიბლიოთეკაში ჯდომა და წიგნების კითხვა უყვარდა...

ჰან გოგს შეეხინდა

ცნობილი ინციდენტის ახალი ვერსია



თვის 23 რიცხვში იღებდა. თუმცა, ბოლოს ფული მას უფრო და უფრო იშვიათად მიეწოდებოდა. დაქორწინების შესახებ თეომ ჯერ დედას აუწყა წერილით, რომელიც 21 დეკემბრით თარიღდება. "ვინსენტი, რაც სრულიად ბუნებრივია, ამის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყოს", - ხაზგასმით ამბობს ბეილი.

ამის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება მეორე წერილი, რომელშიც თეო შეყვარებულს ამ-

ცნობს, რომ მატარებლით მიემგზავრება მასთან, რომელმაც ყური მოიჭრა. "როდესაც მას შენს შესახებ ვუთხარი, ვინსენტი მიხვდა ვისაც ვგულისხმობდი, - ნათქვამია შეტყობინებაში. - როდესაც მას ვკითხე, იწონებს თუ არა ის ჩვენს გეგმებს, მან მითხრა, რომ დაქორწინება ცხოვრების მთავარი მიზანი არ უნდა იყოს".

ბრიტანელი უარყოფს თეორიას, რომელიც 2009 წლის დასაწყისში ჰამბურგის უნი-

ვერსიტეტის მკვლევარებმა, ისტორიკოსებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა - ჰანს კაუფმანმა და რიტა ვილდგანსმა წამოაყენეს. მათ წამოაყენეს წინადადება იმის შესახებ, რომ ვან გოგს ზიანი მისმა პოლანდიელმა მეგობარმა, ფრანგმა ფერმწერმა და ამასთანავე, არაჩვეულებრივმა მოგზარკამ - პოლ გოგმა მას შემდეგ მიუყენა, რაც შემოქმედებითი კამათის დროს თავი ხელში ველარ აიყვანა. მათ ამის შესახებ ხმა აღარ ამოიღეს, რადგანაც გოგენს ციხეში ჩასვამდნენ, წერდნენ მეცნიერები.

